

ძირითადი საშუალებების მიხედვით დღგ-ის ჩათვლა

ძირითადი საშუალების მიხედვით, თუ იგი გამოყენებულ იქნა ან/და იქნება:

ა) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს აქვს ჩათვლის მიღების უფლება, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, და ჩათვლილი დღგ-ის თანხა არ ექვემდებარება გაუქმებას;

ბ) მხოლოდ ისეთ ოპერაციაში, რომლის დროსაც დღგ-ის გადამხდელს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება, პირს უფლება არ აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს ჩათვლა;

გ) ერთდროულად ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:

გ.ა) თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად;

გ.ბ) დღგ-ის გადამხდელს, გარდა ამ ნაწილის „გ.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულისა, უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს ჩათვლა მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში ჩათვლის უფლების მქონე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ყოველწლიურად გასაუქმებელი („გ.ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) ან ჩასათვლელი („გ.ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) დღგ-ის თანხა გაიანგარიშება:

ა) შენობა-ნაგებობებზე – ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეათედის ოდენობით;

ბ) სხვა ძირითად საშუალებებზე – ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეხუთედის ოდენობით.

9. დღგ-ის ახლად რეგისტრირებული გადამხდელი ძირითადი საშუალებების მიხედვით დღგ-ის თანხების ჩათვლას ახორციელებს ამ მუხლის მე-7 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ.ა“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

9. პირს უფლება აქვს, იმ ძირითადი საშუალების მიწოდებისას, რომლის მიხედვითაც ამ მუხლის მე-7-მე-9 ნაწილების გათვალისწინებით არ მიუღია ან/და გაუუქმდა დღგ - ის ჩათვლა, დასაბეგრ ოპერაციაზე დასარიცხი დღგ - ის თანხა შეამციროს ამ ძირითადი საშუალების მიხედვით მიუღებელი ან/და გაუქმებული დღგ - ის ჩათვლის თანხის ოდენობით, შესაბამისი დოკუმენტის ან/და საფუძვლის არსებობისას. (20.12.2011 . № 5556),

10. ამ მუხლით განსაზღვრული დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება სავალდებულო არ არის, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია.

ანალიზი

ძირითად საშუალებებზე (მათ შორის, საკუთარი წარმოების) დღგ-ის ჩათვლის წესი რეგულირდება სსკ-ის 174-ე მუხლის მე-7-მე-9 ნაწილებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8(31) მუხლის მიხედვით, ძირითადი საშუალება განიმარტება როგორც მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია.

დღგ-ის გადამხდელს უფლება აქვს ძირითად საშუალებებზე გადახდილი/გადასახდელი დღგ ჩათვალოს იმ პირობით, თუ აღნიშნული ძირითადი საშუალებები გამოყენებული იქნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში - ისეთ ოპერაციებში რომლებიც იბეგრება დღგ-ის 18 %-იანი განაკვეთით ან/და ოპერაციებში, რომლებიც გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით (შემდგომში ყველა ერთად „დასაბეგრი ოპერაციები“).

არსებობს განსხვავებული მიდგომები ძირითად საშუალებებზე დღგ-ის ჩათვლისას, როდესაც ისინი გამოიყენება ერთდროულად დასაბეგრ და ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლებულ (შემდგომში „გათავისუფლებულ“) ოპერაციებში.

ძირითად საშუალებებზე დღგ-ის ჩათვლა შეიძლება განხორციელდეს:

- პირველივე საანგარიშო პერიოდში (სრულად), ან
- კალენდარული წლის ბოლოს (ნაწილი)

1. პირველივე საანგარიშო პერიოდში - იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც ძირითადი საშუალება იქნა შეძენილი ან საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში იქნა შეყვანილი, დღგ-ის ჩათვლა შესაძლებელია განხორციელდეს სრულად შემდეგ შემთხვევებში:



1.1 გადამხდელი ახორციელებს მხოლოდ დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ან ახორციელებს როგორც დღგ-ით დასაბეგრ, ასევე დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციებს, მაგრამ კონკრეტული ძირითადი საშუალება გამოიყენება მხოლოდ დასაბეგრი ოპერაციების გასახორციელებლად - ხდება ძირითადი საშუალების მხოლოდ დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების იდენტიფიცირება. ამ შემთხვევაში უპირობოდ ხდება დღგ-ის ჩათვლა ძირითადი საშუალების შეძენის ან/და საკუთარი წარმოების შენობა ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების საანგარიშო პერიოდში.

1.2 ძირითადი საშუალება გამოიყენება ერთდროულად როგორც დღგ-ით დასაბეგრი, ასევე დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციების გასახორციელებლად - ვერ ხდება ძირითადი საშუალების გამოყენების იდენტიფიცირება მხოლოდ დასაბეგრ ან მხოლოდ გათავისუფლებულ ოპერაციებში. ასეთ შემთხვევაში გადამხდელს შეუძლია ძირითადი საშუალების შეძენისას გადახდილი დღგ ჩაითვალოს პირველივე საანგარიშო პერიოდში მხოლოდ იმ პირობით, თუ წინა საგადასახადო წლის მიხედვით დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია.

1.3 გადამხდელი ახლად რეგისტრირებულია - წინა წელს ბრუნვები არ უფიქსირდება. ასეთ გადამხდელს უფლება აქვს პირველივე საანგარიშო პერიოდში ჩაითვალოს დღგ თუ ძირითადი საშუალება სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების გასახორციელებლად.

2. ის ფაქტი, რომ პირველ პუნქტში აღწერილ შემთხვევებში ძირითად საშუალებებზე შესაძლებელია პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდეს დღგ-ის ჩათვლა, არ ათავისუფლებს გადამხდელს ჩათვლილი დღგ-ის გაუქმებისაგან, თუ შემდგომში იცვლება ძირითად საშუალებების გამოყენების პირობები. კერძოდ, თუ შენობა-ნაგებობის შემთხვევაში 10 კალენდარული წლის, ხოლო სხვა ძირითადი საშუალებების შემთხვევაში 5 კალენდარული წლის განმავლობაში ძირითადი საშუალება სრულად ან ნაწილობრივ იქნება გამოყენებული დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციებში, მას (გადამხდელს) წარმოეშვება ჩათვლილი დღგ-ის ბიუჯეტის სასარგებლოდ აღდგენის ვალდებულება ბრუნვების პროპორციის გათვალისწინებით - ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში (დეკემბრის თვე) ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსადგენი (გასაუქმებელი) დღგ-ის თანხაში მონაწილეობას მიიღებს შენობა-ნაგებობებზე გადახდილი/გადასახდელი (დღგ-ის 1/10 (ათი წლის განმავლობაში), ხოლო სხვა ძირითად საშუალებებზე - დღგ-ის 1/5 (5 წლის განმავლობაში). ამასთან კალენდარული წლის პირველ წლად ჩაითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში შესვლის წელი.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №1)

შპს „X“ ეწევა მხოლოდ იურიდიულ მომსახურებას, რომელიც დღგ -ით დასაბეგრი ოპერაციაა (სრულად იბეგრება 18%-ით). საწარმომ 2012 წლის მარტის თვეში 1180 ლარად (დღგ 180 ლარი) შეიძინა საოფისე ინვენტარი და დაიწყო ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება.

2014 წელს საწარმომ შეიცვალა საქმიანობის პროფილი და ეწევა სადაზღვევო საქმიანობას.

შედეგი

საწარმოს უფლება აქვს ძირითადი საშუალების შეძენისას გადახდილი დღგ (180 ლარი) სრულად ჩაითვალოს 2012 წლის მარტის თვეში.

ვინაიდან საწარმოს 2012-2013 წლებში განხორციელებული ოპერაციები სრულად იბეგრება დღგ-ით, საწარმოს ამ წლების ბოლო საანგარიშო პერიოდებში (დეკემბრის თვე) ბიუჯეტის მიმართ აღსადგენი დღგ-ის თანხა არ წარმოექმნება. ამასთან, საწარმო ვალდებულია 2014 წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში ამ წლის პროპორციულად ჩათვლილი დღგ 36 (180/5) ლარი აღადგინოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, ვინაიდან სადაზღვევო საქმიანობა (ფინანსური მომსახურება) ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციაა (სსკ 168-ე მუხლი 2 (ა)). ანალოგიური წესით სრულად ან ნაწილობრივ განხორციელდება ჩათვლილი დღგ-ის გაუქმება მომდევნო 2015-2016 წლებში იმის გათვალისწინებით, თუ რა პროპორციით იქნება იგი გამოყენებული დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციების განსახორციელებლად.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №2)

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა სამედიცინო დაწესებულებამ 2011 წლის მარტის თვეში შეიძინა შენობა, რომელშიც დაიწყო პარფიუმერული ნაწარმის წარმოება. შენობის შეძენისას გადახდილია დღგ 15 ათასი ლარის ოდენობით. 2012 წელს საწარმომ ამავე შენობაში პარალელურად დაიწყო დღგ-ისაგან გათავისუფლებული (სსკ-ის 168-ე მუხლი I(რ)) ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის წარმოება და მიწოდება.

2012 წლის საერთო ბრუნვაში დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვის წილი 30% -ია.

შედეგი

მოცემულ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო საქმიანობა დღგ-ით არ იბეგრება, საწარმოს უფლება აქვს შეძენილ ქონებაზე გადახდილი დღგ ჩაითვალოს 2011 წლის მარტის თვეშივე, რადგან შენობა სრულად გამოიყენებოდა დღგ-ით დასაბეგრი საქონლის საწარმოებლად, 2011 წლის ბოლოს ბიუჯეტში აღსადგენი დღგ არ წარმოიშვება. ამასთან, გადამხდელი ვალდებულია 2012 წლის დეკემბრის თვის დეკლარაციაში აღადგინოს 450 ლარი - ჩათვლილი დღგ-ის 1/10 ნაწილის 30% (15 000/10 X 30%), რადგანაც 2012 წელს აღნიშნული შენობა გამოიყენებოდა, როგორც დღგ-ით დასაბეგრი, ასევე დღგ-ისაგან გათავისუფლებული



საქონლის საწარმოებლად. საწარმოსთვის 450 ლარი, რომელზეც დაკარგა ჩათვლის მიღების უფლება, იმავდროულად იქნება 2012 წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯი.

საწარმო ანალოგიური წესით განახორციელებს ყოველ მომდევნო წლებში (2020 წლის ჩათვლით) დასაბეგრი ბრუნვების გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში ჩათვლილი დღგ-ის ბიუჯეტის სასარგებლოდ აღდგენას.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №3)

შპს „X“ აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას (რომელიც სსკ-ის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დღგ-ისაგან გათავისუფლებულია) და საკონსერვო პროდუქციას (18%-ით დასაბეგრი ოპერაცია). 2012 წლის მარტის თვეში შპს „X“-მა შეიძინა საოფისე შენობა და ავეჯი. საოფისე შენობის შეძენისას გადახდილია დღგ 20 000, ხოლო ავეჯის შეძენისას - 5 000 ლარის ოდენობით. საწარმოს მიერ ძირითადი საშუალების გამოყენების იდენტიფირება მხოლოდ დასაბეგრ ან გათავისუფლებულ ოპერაციებში ვერ ხდება.

2011 წელს შპს „X“-ის საერთო ბრუნვამ შეადგინა 80 000 ლარი, რომელშიც დასაბეგრი ბრუნვები (საკონსერვო პროდუქციის მიწოდება) 90%-ია (72 000/80 000).

2012 წელს შპს „X“-ის დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვა საერთო ბრუნვის 30%-ია

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან 2011 წელს შპს „X“-ს დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვები 10%-ია და შესაბამისად საერთო ბრუნვის 20%-ზე ნაკლებია, საწარმოს უფლება აქვს 2012 წლის მარტის თვეში საოფისე ავეჯისა და შენობის შესაძენად გადახდილი დღგ (5 000 და 20 000 ლარი) სრულად ჩაითვალოს. ამასთან, წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში (დეკემბრის თვეში) საწარმო ვალდებულია ბიუჯეტის სასარგებლოდ აღადგინოს 900 ლარი, რომელიც გაიანგარიშება შემდეგნაირად:

საოფისე ავეჯის შემთხვევაში 300 ლარი (5 000/5 X 30%);

საოფისე შენობის შემთხვევაში 600 ლარი (20 000/10 X 30%).

ანალოგიური წესით განხორციელდება ჩათვლილი დღგ-ის ყოველწლიური წილიდან გასაუქმებელი თანხის განსაზღვრა მომდევნო 4 წლის განმავლობაში საოფისე ავეჯის შემთხვევაში, მომდევნო 9 წლის განმავლობაში საოფისე შენობის შემთხვევაში.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №4)

შპს „X“ გადამხდელად დარეგისტრირდა 2012 წლის 1 თებერვალს, ამავე ვადაში მიმართა მან საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით.

2012 წლის თებერვლის თვეში შპს „X“-მა შეიძინა საოფისე ავეჯი და დაიწყო მისი ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება. საოფისე ავეჯის შეძენისას გადახდილია დღგ 2 000 ლარის ოდენობით. საწარმოს აქვს დღგ-ისაგან გათავისუფლებული და დასაბეგრი ოპერაციები.

2012 წლის განმავლობაში საწარმოს დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციების ხვედრითი წილი საერთო ბრუნვის თანხაში 40%-ია

შედეგი

ვინაიდან საწარმო ახლად რეგისტრირებულია და შეძენილი ავეჯი ერთდროულად გამოიყენება როგორც დღგ-ით დასაბეგრი და დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციების განსახორციელებლად, გადამხდელს უფლება აქვს პირველივე საანგარიშო პერიოდში (2012 წლის თებერვალი) ჩაითვალოს ავეჯზე გადახდილი დღგ (სსკ მუხლი 174(7გ.ა)).

ამასთან, ამავე (2012) წლის დეკემბრის თვეში საწარმო ვალდებულია 5 კალენდარულ წელზე განაწილებული დღგ-იდან - 400 (2000/5) ლარიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ აღადგინოს 160 (400 X 40%) ლარი.

3. დღგ-ის გადამხდელის მიერ ძირითადი საშუალების შეძენისას გადახდილი დღგ-ის ჩათვლა ხდება ნაწილობრივ (ექსპლუატაციაში მიღების კალენდარული წლის ბოლოს, კერძოდ:

თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვა საერთო ბრუნვის 20 პროცენტი და მეტია, კალენდარული წლის ბოლოს ჩასათვლელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში დასაბეგრი ბრუნვის ხვედრითი წონის პროპორციულად, ამასთან, ჩასათვლელ თანხაში ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში შესვლიდან ყოველი საგადასახადო წლის ბოლოს მონაწილეობას მიიღებს შენობა-ნაგებობებზე გადახდილი/გადასახდელი დღგ-ის 1/10 (ათი წლის განმავლობაში), ხოლო სხვა ძირითად საშუალებებზე - დღგ-ის 1/5 (5 წლის განმავლობაში). ყოველწლიურად ჩათვლაში მონაწილე დღგ-ის ის თანხა, რომელზეც გადამხდელმა დაკარგა ჩათვლის უფლება, წარმოადგენს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯს.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №5)

შპს „X“ აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას და საკონსერვო პროდუქციას. 2011



წელს შპს „X“-ის საერთო ბრუნვაში დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვა 90%-ს (სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოება) შეადგენს. 2012 წლის მარტის თვეში შპს „X“-მა შეიძინა საოფისე შენობა და ავეჯი. საოფისე შენობის შეძენისას გადახდილია დღგ 20 000, ხოლო ავეჯის შეძენისას - 5 000 ლარის ოდენობით. საწარმოს მიერ ძირითადი საშუალების გამოყენების იდენტიფიცირება მხოლოდ დასაბეგრ ან მხოლოდ გათავისუფლებულ ოპერაციებში ვერ ხდება.

2012 წელს შპს „X“-ის დასაბეგრი ოპერაციის ხვედრითი წილი საერთო ბრუნვაში 60%-ია.

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან 2011 წელს შპს „X“-ის დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვა საერთო ბრუნვის 20%-ზე მეტია, საწარმოს უფლება არა აქვს 2012 წლის მარტის თვეში საოფისე ავეჯისა და შენობის შესაძენად გადახდილი დღგ (5 000 და 20 000 ლარი) ჩაითვალოს. საერთო ბრუნვაში დასაბეგრი ოპერაციის ხვედრითი წილის გათვალისწინებით საწარმოს უფლება აქვს 2012 წლის ბოლოს 3000 ლარიდან (5000/5+20000/10) ჩაითვალოს მხოლოდ 1800 ლარი (3000 X 60%), კერძოდ:

საოფისე ავეჯის შემთხვევაში 600 ლარი (5 000/5 X 60%);

საოფისე შენობის შემთხვევაში 1 200 ლარი (20 000/10 X 60%).

1200 ლარი (3000 - 1800), რომელზეც გადამხდელმა დაკარგა დღგ-ის ჩათვლის უფლება, მიეკუთვნება 2012 წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯს.

ანალოგიური წესით განხორციელდება ჩასათვლელი დღგ-ის გაანგარიშება მომდევნო 4 წლის განმავლობაში - საოფისე ავეჯის შემთხვევაში და მომდევნო 9 წლის განმავლობაში - საოფისე შენობის შემთხვევაში.

4. საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში, ამ ძირითად საშუალებაზე დარიცხული და დეკლარაციაში ასახული დღგ-ის ჩათვლა ხდება იმავე პრინციპით, რომელიც გამოიყენება შეძენილი ძირითადი საშუალებების მიმართ (იხ. 1-3 ნაწილი).

საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხას წარმოადგენს აქტივის ღირებულება, რომელშიც შეტანილია მათი მშენებლობის ხარჯები, აგრეთვე სხვა ხარჯები, რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა ისეთი ხარჯებისა, რომელთა პირდაპირ გამოქვითვის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს. ამასთან, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №6)

შპს „X“ სამშენებლო კომპანიაა, რომელიც ახორციელებს საცხოვრებელი და კომერციული ფართების მშენებლობასა და მიწოდებას (სრულად იბეგრება 18%-ით). საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება და სარეალიზაციოდ აშენებული შენობებიდან ერთ-ერთი, გამოიყენა ოფისად, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2012 წლის აპრილის თვეში. შენობა-ნაგებობის დღგ-ით დასაბეგრი თანხა (აქტივის ღირებულება) 500 000 ლარს შეადგენს.

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში საწარმოს 2012 წლის აპრილის თვის (საოფისე შენობის ექსპლუატაციაში შესვლის პერიოდი) დღგ-ის დეკლარაციაში ასახული გადასახდელი დღგ - 90 000 ლარი (500 000 X 18%) შეუძლია ჩაითვალოს იმავე საანგარიშო პერიოდში (იმავე დღგ-ის დეკლარაციით) ან წლის ბოლოს 1-3 პუნქტებში მოცემული წესისა და პირობების გათვალისწინებით.

5. პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის მიზნებისათვის წინა საგადასახდო წლის დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა განისაზღვრება ოპერაციის იმ სტატუსით (დასაბეგრი, გათავისუფლებული), რომელიც ამ ოპერაციას გააჩნია ჩათვლის მიღების მომენტში. კერძოდ: თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ განხორციელებული ოპერაცია წინა საგადასახდო წელს დასაბეგრი ოპერაცია იყო, ხოლო ჩასათვლელი თანხის განსაზღვრისას აღნიშნული ოპერაცია დღგ-ისაგან გათავისუფლებულია, ამ შემთხვევაში, საწარმომ წინა წლის საერთო ბრუნვაში დასაბეგრი ბრუნვის ხვედრითი წილის განსაზღვრისას ასეთი ოპერაციები უნდა გაითვალისწინოს გათავისუფლებული ბრუნვის თანხაში.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №7)

შპს „X“-ის საქმიანობას წარმოადგენს სპილენძის ნაერთების ფუძეზე დამზადებული პრეპარატის მიწოდება. სპილენძის ნაერთების ფუძეზე დამზადებული პრეპარატის მიწოდება (კოდი: 3808 92 100 00) 2011 წლის ნოემბრამდე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია იყო (იბეგრებოდა 18%-ით). აღნიშნული მიწოდება 2011 წლის ნოემბრის შემდგომ პერიოდში დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციაა. საწარმომ 2012 წლის იანვრის თვეში შეიძინა საოფისე ავეჯი და დაიწყო ამ ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება. საოფისე ავეჯის შეძენისას გადახდილია დღგ 1 000 ლარის ოდენობით.

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში 2011 წლის მიხედვით ბრუნვების პროპორციის განსაზღვრისას სპილენძის



ნაერთების ფუძეზე დამზადებული პრეპარატის მიწოდება გათვალისწინებულ უნდა იქნეს, როგორც დღ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაცია 2012 წლის იანვარში ამ საქონლის სტატუსიდან გამომდინარე. შესაბამისად საწარმოს უფლება არა აქვს ჩაითვალოს საოფისე ავეჯის შექმნისას გადახდილი დღ (1 000 ლარი).

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №8)

პირობები იგივეა, რაც მე-7 მაგალითში იმ განსხვავებით, რომ საწარმოს აქვს დღ-ისაგან გათავისუფლებული და დასაბეგრი ოპერაციები.

შედეგი

2011 წლის საერთო ბრუნვაში გათავისუფლებული ოპერაციების ხვედრითი წილის განსაზღვრისას სპილენძის ნაერთების ფუძეზე დამზადებული პრეპარატის ბრუნვა გათვალისწინებულ უნდა იქნეს დღ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვის მოცულობაში (ამ ოპერაციის 2012 წლის სტატუსიდან გამომდინარე), მიუხედავად იმის, რომ 2011 წელს აღნიშნული ოპერაციები დაბეგრილია დღ-ით.

6. პირს უფლება აქვს, იმ ძირითადი საშუალების მიწოდებისას, რომლის მიხედვითაც არ მიუღია ან/და გაუქმდა დღ-ის ჩათვლა, დასაბეგრი ოპერაციაზე დასარიცხი დღ-ის თანხა შეამციროს ამ ძირითადი საშუალების მიხედვით მიუღებელი ან/და გაუქმებული დღ-ის ჩათვლის თანხის ოდენობით, შესაბამისი დოკუმენტის ან/და საფუძვლის არსებობისას. ამასთან, გადამხდელს ექნება ვალდებულება დღ-ის ამ თანხით, რომელიც ადრე მიკუთვნებული ჰქონდა შესაბამისი წლების ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯზე, მოახდინოს მიმდინარე საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლის გაზრდა. შესაბამისად, ამ თანხით ძველი პერიოდების მოგების გადასახადის გადაანგარიშება არ მოხდება (ითვლება, რომ იმ საანგარიშო პერიოდისათვის ერთობლივი შემოსავალი და გამოსაქვითი ხარჯი სწორად იყო განსაზღვრული).

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი № 9)

შპს „X“ დღ-ის გადამხდელია. 2011 წლის იანვრის თვეში საწარმომ შეიძინა შენობა, რომელშიც ამზადებს ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმს - დღ-ისაგან გათავისუფლებულ საქონელს. ვინაიდან შენობა მხოლოდ დღ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციებისათვის გამოიყენება, საწარმომ ვერ ჩაითვალა შენობის შექმნისას გადახდილი დღ - 20000 ლარი. შესაბამისად აღნიშნული თანხა გამოქვითა 2011 წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

საწარმო 2015 წლის იანვარში ახდენს აღნიშნული ძირითადი საშუალების რეალიზაციას. მიწოდების ოპერაციაზე დარიცხულია დღ 22 000 ლარის ოდენობით.

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში საწარმოს უფლება აქვს შენობის მიწოდებაზე დარიცხული დღ (22 000) შეამციროს შენობის შექმნისას გადახდილი დღ-ის ოდენობით, რომლის ჩათვლაც არ მიუღია (20 000 ლარი). საწარმო 2015 წლის იანვრის თვის დღ-ის დეკლარაციაში ასახავს გადასახდელ 22 000, ასევე ჩასათვლელ დღ-ს 20 000 ლარის ოდენობით.

საწარმოს ექნება ვალდებულება 20 0000 ლარით (2011 წელს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითული დღ-ის თანხით) გაზარდოს 2015 წლის ერთობლივი შემოსავალი. შესაბამისად, 2011 წლის მოგების გადასახადის გადაანგარიშება არ ხდება.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი № 10)

შპს „X“ დღ-ის გადამხდელია. 2011 წლის იანვრის თვეში საწარმომ შეიძინა შენობა, რომელშიც ამზადებს ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმს - დღ-ისაგან გათავისუფლებულ საქონელს. ვინაიდან შენობა მხოლოდ დღ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციებისათვის გამოიყენება, საწარმომ ვერ ჩაითვალა შენობის შექმნისას გადახდილი დღ - 20000 ლარი. შესაბამისად აღნიშნული თანხა გამოქვითა 2011 წლის ერთობლივი შემოსავლიდან.

საწარმო 2015 წლის იანვარში ახდენს აღნიშნული ძირითადი საშუალების რეალიზაციას. მიწოდების ოპერაციაზე დარიცხულია დღ 16 000 ლარის ოდენობით.

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში საწარმოს უფლება აქვს შენობის მიწოდებაზე დარიცხული დღ (16 000 ლარი) შეამციროს დღ-ის იმ თანხით, რომლის ჩათვლაც არ მიუღია საწარმოს, მაგრამ არა უმეტეს ამ მიწოდებაზე დარიცხული დღ-ისა (16 000 ლარისა). საწარმო 2015 წლის იანვრის თვის დღ-ის დეკლარაციაში ასახავს გადასახდელ 16 000, ასევე ჩასათვლელ დღ-ს 16 000 ლარის ოდენობით.

საწარმოს ექნება ვალდებულება 16 000 ლარით (რომელიც გამოქვითული იყო 2011 წლის ერთობლივი შემოსავლიდან) გაზარდოს 2015 წლის ერთობლივი შემოსავალი.

7. დღ-ის გადამხდელს (მათ შორის, ახლად რეგისტრირებულ გადამხდელს) უფლება არა აქვს ძირითადი საშუალებებზე გადახდილი/გადასახდელი დღ ჩაითვალოს, თუ ის ძირითად საშუალებებს იყენებს



მხოლოდ დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციებში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლიდან 10 წლის, ხოლო სხვა ძირითადი საშუალების შემთხვევაში 5 კალენდარული წლის განმავლობაში რომელიმე წელს ძირითადი საშუალება გამოყენებულ იქნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, გადამხდელს უფლება აქვს ამ წელს ბრუნვების პროპორციის გათვალისწინებით ჩაითვალოს აღნიშნული (ჩაუთვლელი) დღგ-ის შესაბამისი თანხა (1/10 ან 1/5).

8. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის გადაანგარიშება ან/და გაუქმება სავალდებულო არ არის, თუ კალენდარული წლის განმავლობაში გათავისუფლებული ბრუნვა საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია.

ფაქტობრივი გარემოება: (მაგალითი №11)

შპს „X“ ეწევა ერთდროულად დასაბეგრ და გათავისუფლებულ ოპერაციებს.

2012 წლის მარტის თვეში შპს „X“ -მა შეიძინა საოფისე ავეჯი და დაიწყო ამ ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება. საოფისე ავეჯის შეძენისას გადახდილია დღგ 5 000 ლარის ოდენობით.

2011 წელს საერთო ბრუნვის თანხაში დასაბეგრი ბრუნვის თანხამ 90% შეადგინა,

2012 წელს საწარმოს მიერ განხორციელებულ ბრუნვებში გათავისუფლებული ოპერაციის ხვედრითი წილი 2%-ს შეადგენს (5%-ზე ნაკლებია).

შედეგი

2011 წლის ბრუნვების პროპორციის გათვალისწინებით გადამხდელს უფლება აქვს 2012 წლის პირველსავე საანგარიშო პერიოდში - მარტის თვეში სრულად ჩაითვალოს საოფისე ავეჯის დღგ (5000 ლარი). ამასთან, ვინაიდან 2012 კალენდარული წლის განმავლობაში დღგ-ისაგან გათავისუფლებული ბრუნვა საერთო ბრუნვის 5 პროცენტზე ნაკლებია (2%), 1000 (5000/5) ლარი წლის ბოლოს არ ექვემდებარება გადაანგარიშებას, შესაბამისად 20 (1000 X 2%) ლარი ბიუჯეტის სასარგებლოდ აღდგენას არ ექვემდებარება.

9. თუ ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შევლისას პირი არ არის დღგ-ის გადამხდლად რეგისტრირებული, შემდგომ წლებში ასეთი ძირითადი საშუალებების დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენებისას, წლების პროპორციულად დღგ-ის გადაანგარიშება და ჩათვლა არ განხორციელდება.

